საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 21 0001158701

29/10/2021

შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის" ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება არღვევს აკრედიტაციის პირობებს.

1.3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;

ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.
1.4. აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 25 - ე პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება
2.1. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ,,სამკურნალო საქმის" ქართულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 13 ივლისის №599367 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
2.2. „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ,,სამკურნალო საქმის" ქართულენოვან და ,,მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის №727921 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 15 ოქტომბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება. 2.2 და 2.6 კომპონენტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; რამაც გამოიწვია აღნიშნული კომპონენტების შეფასების ცვლილება და მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ შეწყდეს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:
1. შეწყდეს შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ ,,სამკურნალო საქმის" ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
2. მიჩნეულ იქნეს, რომ ,,სამკურნალო საქმის" ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდეს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;

3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,სამკურნალო საქმის" ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 29 ოქტომბრის № 1158334 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად. (დანართი №3).

5. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები და რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

5.1 მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებს განესაზღვროს კონკრეტული მიზნები კურსის შინაარსთან შესაბამისობაში; ამავე კურსებში დაზუსტდეს „ცოდნის“ კომპეტენცია მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებში შინაარსის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი ფორმულირება;

5.2 რეკომენდირებულია ცალკეულ სილაბუსებში განახლდეს სასწავლო ლიტერატურა;

რჩევები:

5.3 პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1 თანახმად, შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა;

5.4 მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში; დაკორექტირდეს სწავლის შედეგებში კომპეტენციების განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად;

5.5 დაზუსტდეს რიგი სასწავლო კურსების წინაპირობები კურსის შინაარსთან მიმართებაში;

5.6 გადაიხედოს სასწავლო მასალად ცხოველის ორგანოების მაკროპრეპარატების გამოყენების პრაქტიკა, სტუდენტის მიერ გაკვეთის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, უკანასკნელი მეთოდის კეთილსაიმედოობის, უვნებლობის, ჰიგიენური მოთხოვნებისა და ცხოველთა საექსპერიმენტოდ გამოყენების წესების დაცვის თვალსაზრისით;

5.7 შემუშავებულ იქნას პორტფოლიო I და პორტფოლიო II განხორციელების პირობების, შეფასების, შემფასებლების შესახებ ჩარჩო/აღწერილობა ან სილაბუსი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას თუ როგორ უნდა აითვისოს შესაბამისი კრედიტი;

5.8 მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები კურსის შინაარსის მიხედვით, სხვადასხვა კომპონენტში ქულების დაგროვების მექანიზმი გახდეს გამჭვირვალე სტუდენტისთვის მათთან უკუკავშირის მიზნით;

5.9 დაზუსტდეს რიგ კურსებში დასკვნით გამოცდაზე გასვლის დამატებითი წინაპირობა პორტფოლიოს დავალებების (ფასდება - Pass/Fail) დამაკმაყოფილებლად შესრულებასთან დაკავშირებით;

5.10 საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება განხორციელდეს რეგულარულად სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ყოველი 2 წლის განმავლობაში მედიცინის დარგობრივი დოკუმენტის ადამიანური რესურსისადმი სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

6. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 29 ოქტომბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში

წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია
2	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სამკურნალო საქმე
3	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
4	სტატუსი[2]	აკრედიტებული
5	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 14 ივლისის #599367 გადაწყვეტილება
6	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
7	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ერთსაფეხურიანი
8	დაშვების წინაპირობები	-
9	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
10	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
11	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
12	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 - მედიცინა
13	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	0901 - დიპლომირებული მედიკოსი
14	სწავლების ენა	ქართული
15	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
16	განხორციელების ადგილი[7]	საქართველო, თბილისი, 0104, ქ.წამებული 51/2
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 29 ოქტომბერი
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 13 ივლისი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი